გორისმუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 169

2022 წლის 9 სექტემბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.45.24.045) 1 (ერთი) ოთახის 16.57 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად ახორციელებს სპორტულ საქმიანობას შიდა ქართლის მხარეში.

ა(ა)იპის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად, შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციამ, 2022 წლის 15 აგვისტოს N29 წერილით ითხოვა ფართის გამოყოფა, რომელიც მდებარეობს ქალაქ გორში, სტალინის N16-ში (საკადასტრო კოდი N66.45.24.045) 1 (ერთი) ოთახი 16.57 კვ.მ.

გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ 218022459) უსასყიდლოდ სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქალაქი გორი, სტალინის გამზ. N16-ში მდებარე შენობიდან 1 (ერთი) ოთახი 16.57 კვ.მ. ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ 218022459), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, სტალინის გამზ. N16-ში (ს/კ 66.45.24.045) არსებული 1 (ერთი) ოთახი 16.57 კვ.მ. ფართი, შენობის მე-3 სართულზე (იხ.დანართი).

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე